# განაცხადი წლიურ საგრანტო პროგრამაზე

## APS No. 1

## გამოცხადების დღე: 28 მარტი, 2024

| | |
|---|---|
| **ერთეული გრანტის მოცულობა** | მაქს. $ 50,000 |
| **საგრანტო აქტივობის ხანგრძლივობა** | მაქს. 12 თვე |
| **განაცხადების წარდგენის ბოლო ვადა** | 27 მარტი, 2025 |
| **ვის შეუძლია მონაწილეობის მიღება :** | საქართველოში ან სომხეთში რეგისტრირებულ კომერციულ ან არაკომერციულ დაწესებულებებს (დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. სექცია IV) |

## I. მიზანი

წლიური საგრანტო პროგრამის მიზანია, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) სამხრეთ კავკასიის რეგიონული წყლის მართვის პროგრამის (შემდეგში SCRWM პროგრამა) ფარგლებში მიიღოს საგრანტო იდეები საქართველოსა და სომხეთში რეგისტრირებული კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციებისგან. საგრანტო განაცხადში წარმოდგენილმა ღონისძიებებმა ხელი უნდა შეიწყოს SCRWM პროგრამის მიზნების განხორციელებას. წინამდებარე წლიურ საგრანტო პროგრამა შემუშავებულია ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო დახმარების 1961 წლის აქტის ფარგლებში.

## II. პროგრამის აღწერა

სამხრეთ კავკასიის რეგიონული წყლის მართვის ხუთ წლიანი პროგრამა დაფინანსებულია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ. პროგრამის მიზანია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის წყლის რესურსებთან დაკავშირებული ეფექტური რეგიონული თანამშრომლობის მხარდაჭერა წყლის რესურსების უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული მართვის ხელშეწყობის მიზნით. პროგრამის მიზნებია:

მიზანი 1. სამხრეთ კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი და წყლის მართვის ჯგუფების გაძლიერება სხვადასხვა დონეზე სამხრეთ კავკასიაში.

მიზანი 2. სამხრეთ კავკასიაში არსებული დაინტერესებული მხარეების მიერ რეგიონული წყლის მმართველობის ჰარმონიზებული მიდგომის შემუშავება.

მიზანი 3. ადგილობრივი თემების სტიმულირება წყლის რესურსების გამოყენების იმ ახალი ტექნოლოგიების, მიდგომებისა და ეკონომიკური მოდელების დანერგვაში, რომლებიც ქვეყნებს შორის წყლის რესურსებით სარგებლობის გაუმჯობესებას ნათლად ადასტურებს.

მიზანი 4. რეგიონული რეაგირება ახლად წარმოშობილ შესაძლებლობებსა და გარემოსდაცვით თანამშრომლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

## III. საგრანტო პროგრამა

სამხრეთ კავკასიის რეგიონული წყლის მართვის პროგრამის საგრანტო კონკურსის მიზანია, გააძლიეროს დაინტერესებული მხარეების თანამშრომლობა და ხელი შეუწყოს ინოვაციურ მიდგომებს წყლის უსაფრთხოების, წყლის რესურსების მართვის გაუმჯობესებისა და ეფექტიანი რეგიონული გარემოსდაცვითი თანამშრომლობისათვის. მიზნობრივი დაფინანსებით პროგრამა მხარს დაუჭერს წყლის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს, ადგილობრივი შესაძლებლობების განვითარებასა და წყალთან დაკავშირებული კლიმატის ცვლილებების დაძლევისთვის საჭირო ინკლუზიური მიდგომების გამოყენებას.

საპროექტო იდეების საილუსტრაციო მაგალითები აღწერილია ქვემოთ. თუმცა, განმცხადებელს შეუძლია შეიმუშაოს და წარმოადგინოს განსხვავებული იდეა, რომელიც უპასუხებს პროგრამის ზემოთ აღწერილ ოთხ მიზანს:

- **ორგანიზაციული შესაძლებლობების გაზრდა:** კლიმატის ცვლილების, გარემოსდაცვითი და წყლის რესურსების მართვის სფეროებში დაინტერესებულ მხარეთა არსებული ან ახალი ჯგუფების და პლატფორმების შესაძლებლობების გაძლიერება  წყლის უსაფრთხოების, გარემოსდაცვითი და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საერთო გამოწვევის განხილვისთვის, კვლევებისთვის და გადაჭრისთვის ადგილობრივ, ეროვნულ ან რეგიონულ დონეზე.
- **რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერება:** სამთავრობო და არასამთავრობო წარმომადგენლებს შორის დიალოგის ხელშეწყობა, რათა გადაიჭრას წყლის რესურსებთან დაკავშირებული კომპლექსური რეგიონული გამოწვევები, გაუმჯობესდეს ქვეყნებს შორის თანამშრომლობა და რეგიონული სტაბილურობა.
- **წყლის რესურსების მართვის ჰარმონიზაცია:** კომუნიკაციის თანმიმდევრულობისა და სიხშირის გაზრდა ისეთ დაინტერესებულ მხარეებს შორის, როგორებიც არიან: სამოქალაქო საზოგადოება, კერძო/საჯარო სექტორი და სამეცნიერო საზოგადოება რეგიონული წყლის მმართველობის ძირითადი საკითხების გადაჭრის მიზნით,
- **ინიციატივების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობენ:** წყლის რესურსების მართვის სამართლებრივ, პოლიტიკის და ინსტიტუციურ გაუმჯობესებას; მომხმარებლის ცნობიერების ამაღლებას; სანდო ინფორმაციის და მონაცემების შეგროვებას; წყლის რესურსების მართვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების უკეთ გაშუქებას; წყლის რესურსებთან დაკავშირებული რისკების გაანალიზებას; წარსული გამოცდილებების შესწავლასა და წყლის რესურსების მართვის პროცესში კერძო სექტორის ჩართულობის გაზრდას.
- **წყლის მოხმარების გაუმჯობესებას სათემო დონეზე**: ადგილობრივი ხელისუფლებისაა და სათემო ჯგუფების მიერ წყლის რესურსებთან დაკავშირებული ისეთი პროექტების შემუშავება და განხორციელება, რომლებიც სარგებელს მოუტანს მოწყვლად თემებს, განსაკუთრებით ქალებს, ახალგაზრდებსა და უმცირესობების წარმომადგენლებს.
- **არსებული ძალისხმევის გაძლიერება** ადგილობრივი თემების მიერ წყლის რესურსების სამართავი ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად; დამატებითი სახსრების მობილიზება წყლის, წყალარინების და ჩამდინარე წყლების სექტორისთვის და წყლის რესურსებთან დაკაშირებული რეგიონული პროექტების განსახორციელებლად.
- **ცნობიერების ამაღლება** წყლის უსაფრთხო გამოყენების, წყლის რესურსების ერთობლივი მართვის, „მომხმარებელი/დამბინძურებელი იხდის“ პრინციპის შესახებ ადგილობრივი ხელისუფლებისთვის, სათემო ჯგუფებისთვის,  სკოლის მოსწავლეებისა და მოსახლეობის ფართო ფენებისთვის.
- **წყლის ობიექტების მონიტორინგის (ხარისხისა და/ან რაოდენობის) პროცესებისა და ტექნოლოგიების დანერგვა** სასმელი და ჩამდინარე წყლებისა და საირიგაციო სისტემების ხარისხისა და საიმედოობის გასაუმჯობესებლად; იმ მექანიზმების დანერგვა  რომელიც ხელს შეუწყობს სერვისის მიმწოდებლებისა და წყლის მომხმარებლების უწყვეტ უკუკავშირს (მაგ. ცხელი ხაზის შექმნა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით).
- **გენდერულ თანასწორობაზე თემატური შეხვედრების ორგანიზება,** რომელიც ხელს შეუწყობს ქალების ჩართულობას წყლის მართვაში და/ან ადგილობრივ დონეზე მათი წარმომადგენლობის გაზრდას სასმელი და ჩამდინარე წყლებისა და სარწყავი სისტემების მართვის პროცესში. ასევე, ისეთი აქტივობების განხორციელება, რომელიც წაახალისებს ახალგაზრდა/სტუდენტი ქალების წყლის მართვაში ჩართვას ტრენინგებისა და სტაჟირების მეშვეობით.
- წყალთან დაკავშირებული **პროფესიული უნარების** განვითარება ქალებისა და ახალგაზრდებისთვის.

- **სხვა ინოვაციური მიდგომები და ადგილობრივი ინიციატივები,** რომლებიც ხელს შეუწყობენ სასმელ და ჩამდინარე წყლებთან და სარწყავ სისტემასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას.
- **მიზანმიმართული აქტივობები წყლის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით,** როგორებიცაა: გვალვის, წყალდიდობისა და კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული ზიანი და ზემოქმედება. ასევე, მათთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირება, შემცირება და ცნობიერების ამაღლება.

  შენიშვნა: ზემოთ მოყვანილი საპროექტო იდეები მოცემულია მხოლოდ მაგალითისთვის. განმცხადებელს შეუძლია წარმოადგინოს სხვა საპროექტო იდეა, რომელიც თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან (იხ. სექცია II).

გეოგრაფიული ფოკუსი

***პრიორიტეტი მიენიჭებათ აქტივობებს, რომლებსაც ექნებათ მკაფიო, ხელშესახები და ღირებული გავლენა მრავალეთნიკურ და ტრანსსასაზღვრო ზოლებში არსებულ თემებზე, მათ შორის ქალებზე, ახალგაზრდებსა და სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფებზე.***

გრანტის მოცულობა

ერთეული გრანტის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 50,000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ეროვნულ ვალუტაში.

განმცხადებლის ფინანსური და არაფინანსური თანამონაწილეობა

საგრანტო პროგრამის ფარგლებში განმცხადებლებს არ მოეთხოვებათ თანადაფინანსება. თუმცა, თანამონაწილეობა იქნება წახალისებული და განიხილება, როგორც დამატებითი დადებითი ფაქტორი განაცხადების შეფასებისას. არაფინანსური თანამონაწილეობა, მაგალითად, საქონლის, მასალების, აღჭურვილობის კონტრიბუცია ან/და მოხალისეობრივი საქმიანობა / შრომა შეიძლება ჩაითვალოს განმცხადებლის თანამონაწილეობად.

## IV. საგრანტო კონკურსში მონაწილეობის პირობები

ვის შეუძლია საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღება:

გრანტის მიმღები უნდა იყოს საქართველოში ან სომხეთში რეგისტრირებული ორგანიზაცია, რომელსაც გააჩნია გაწერილი ფინანსური და ადმინისტრაციული პროცედურები აქტივების დასაცავად, თაღლითობის და დისკრიმინაციის საწინააღმდეგოდ და რომლებიც ხელს შეუწყობენ პროგრამის მიზნების შესრულებას.

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ კომერციულ ან არაკომერციულ ორგანიზაციების, როგორებიცაა არასამთავრობო ორგანიზაციები, ასოციაციები, კერძო და საჯარო უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები (მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიული პირები (სსიპ-ები)), კვლევით ორგანიზაციები, არაკომერციული (არამომგებიანი) იურიდიული პირები (ა(ა)იპ-ები), კერძო კომპანიები და სხვა იურიდიული დაწესებულებები.

ნებადართული აქტივობები

საგრანტო კონკურსის მიზანია, მხარი დაუჭიროს კვალიფიციურ ორგანიზაციებს განახორციელონ აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობენ წინამდებარე განაცხადის მეორე სექციაში ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მიზანს და შესაბამისობაში იქნებიან SCRWM პროგრამის 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმასთან. საგრანტო განაცხადების მიღების პერიოდის განმავლობაში განმცხადებლებს შეუძლიათ წარმოადგინონ იდეები გამარტივებული განაცხადის მეშვეობით.

## V. გამარტივებული საგრანტო განაცხადის ფორმა / სრული საგრანტო განაცხადი

საგრანტო პროცესი შედგება ორი საფეხურისგან:

1. გამარტივებული საგრანტო განაცხადის მომზადება შესაბამისი ფორმატითა და
2. პირველი საფეხურის წარმატებით გავლის შემდეგ, სრული საგრანტო განაცხადის მომზადება (პროგრამის მიერ შეთავაზებული ფორმატის მიხედვით).

სასურველია განმცხადებლებმა გამარტივებული და სრული საგრანტო განაცხადის ფორმები მოამზადონ ინგლისურად. თუმცა, განაცხადების წარდგენა შესაძლებელია შესაბამის ადგილობრივ/სახელმწიფო ენაზეც.

**<u>პირველი საფეხური | გამარტივებული საგრანტო განაცხადი</u>**

პირველ ეტაპზე, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს მოკლე დოკუმენტი, იგივე გამარტივებული საგრანტო განაცხადის ფორმა. გამარტივებული საგრანტო განაცხადის ფორმის შესავსებად ის უნდა ეწვიოს ონლაინ საგრანტო პორტალს: https://dgrants.fluxx.io/ და გაიაროს რეგისტრაცია. პორტალის მეშვეობით გამარტივებული საგრანტო განაცხადების წარდგენა შესაძლებელი იქნება 2024 წლის მაისიდან.

ონლაინ საგრანტო პორტალზე რეგისტრაციის შემდეგ, რეგისტრაციის პროცესში მითითებულ ელ.ფოსტაზე განმცხადებელი მიიღებს პროფილში შესასვლელად საჭირო დეტალებს. პროფილში კი იხილავს საგრანტო განაცხადის შევსების ინსტრუქციას ყველა სავალდებულო დანართის ფორმასთან ერთად.

**იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელს სხვადასხვა მიზეზების გამო არ აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს ონლაინ პორტალი, საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მას შეუძლია ელ.ფოსტაზე:** grants@scrwm.org გამოაგზავნოს შემდეგი დოკუმენტები: **დანართი 1. გამარტივებული საგრანტო განაცხადის შევსებული ფორმა; დანართი 2. ბიუჯეტი და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.** სათაურის ველში უნდა მიუთითოს: **APS No. 1**.

განმცხადებელი წერილობით მიიღებს ინფორმაციას განაცხადის სტატუსთან დაკავშირებით. წარმატებულ განმცხადებლებს შესაძლებლობა ექნებათ მოამზადონ და წარმოადგინონ სრული საგრანტო განაცხადის ფორმა.

**<u>მეორე ეტაპი | სრული განაცხადის ფორმა</u>**

პირველ ეტაპზე დადებითად შეფასებული გამარტივებული საგრანტო განაცხადის ავტორებს მეორე ეტაპზე მოეთხოვებათ შეავსონ სრული საგრანტო განაცხადის ფორმა ონლაინ საგრანტო პორტალზე (https://usaid-xxxx.fluxx.io). სრული განაცხადისთვის აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს:

1. სრული საგრანტო განაცხადის შევსებულ ფორმა
2. მოთხოვნილი ბიუჯეტი და ფინანსური გეგმის მოკლე აღწერა
3. დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს, რომ განმცხადებელი აკმაყოფილებს კონკურსში მონაწილეობის პირობებს
4. ინფორმაცია განმცხადებელ ორგანიზაციში არსებულ და გამოყენებულ ფინანსურ და საბუღალტრო პროცესებზე და სისტემებზე
5. სავალდებულო სერტიფიკატები და გარანტიები:
    - სერტიფიცირება ტერორისტების დაფინანსების შესახებ
    - სერტიფიცირება ლობირებასთან დაკავშირებით
    - კითხვარი აპლიკანტებისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად (სურვილისამებრ, განმცხადებლის მოთხოვნით)
    - ანტი-ტერორისტული სეტიფიცირება
    - ძირითადი ინდივიდუალური სერტიფიცირება - ნარკოტიკების დანაშაულები და ნარკოტიკების ვაჭრობა
    - სერთიფიკატი შეწყვეტის, შეჩერების, შეუსაბამობისა და ნებაყოფლობითი გამორიცხვის

შესახებ - ქვედა დონის დაფარული ტრანზაქციები. მიმღებებს მოეთხოვებათ ხელი მოაწერონ და შეასრულონ ზემოაღნიშნული სერთიფიკატების შინაარსი, როგორც საგრანტო ხელშეკრულების ნაწილი დაფინანსების დამტკიცების შემდეგ

- არა ამერიკული მიმღების შესაბამისობის სერტიფიცირება
- სერტიფიცირება ანტიკორუფციული კანონების შესახებ

***რომელიმე დანართის არასრულყოფილად შევსების ან არარსებობის შემთხვევაში, განაცხადი ჩაითვლება არასრულად.***

## VI. განაცხადების განხილვა და შეფასება

<u>გამარტივებული საგრანტო განაცხადების განხილვა</u>

გამარტივებული საგრანტო განაცხადების მიღება გაგრძელდება 2025 წლის აპრილამდე. განხილვა მოიცავს სამ ეტაპს:

1. განაცხადის დასაშვებობის შემოწმება
2. გამარტივებული საგრანტო განაცხადების განხილვა/შერჩევა
3. სრული საგრანტო განცხადების განხილვა/შეფასება

<u>დასაშვებობის შემოწმება</u>

საწყის ეტაპზე, ყველა განაცხადი გაივლის საგრანტო კონკურსის დასაშვებობის შემოწმებას, რაც მოიცავს:

- **წარმოდგენილი დოკუმენტების გადახედვას:** არასრულად შევსებული ან სხვა ფორმატით შევსებული დოკუმენტები არ იქნება განხილული. ასეთი განაცხადის ავტორები მიიღებენ შესაბამის ინფორმაციას და ექნებათ შესაძლებლობა თავიდან გამოაგზავნონ განაცხადი.
- **იურიდიული სტატუსის შემოწმებას:** განმცხადებელი უნდა იყოს საქართველოს ან სომხეთის კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ორგანიზაცია (კომერციული ან არაკომერციული).

<u>გამარტივებული საგრანტო განაცხადები</u>

დასაშვებობის შემოწმების გავლის შემდეგ, განაცხადებს განიხილავს გრანტების შეფასების კომიტეტი.

<u>გამარტივებული საგრანტო განაცხადების</u> შერჩევის ძირითადი კრიტერიუმებია:

1. შეესაბამება თუ არა წარმოდგენილი აქტივობა საგრანტო კონკურსისა და პროგრამის მიზნებს (იხ. სექცია II).
2. აქვს თუ არა ორგანიზაციას აქტივობის განსახორციელებლად საჭირო რესურსი და გამოცდილება?
3. მოუტანს თუ არა სარგებელს აქტივობის განხორციელება მრავალეთნიკურ და სასაზღვრო თემებში მცხოვრებლებს, მათ შორის ქალებს, ახალგაზრდებისა და სხვა მოწყვლად ჯგუფებს?

<u>სრული განაცხადების შეფასება</u>

პირველი ეტაპის წარმატებით გავლისა და სრული განაცხადის სრულყოფილად შევსების შემთხვევაში, განცხადებები საბოლოო შეფასებისთვის გადაეცემა გრანტების შეფასების კომიტეტს.

<u>სრული საგრანტო განაცხადების</u> შეფასების მთავარი კრიტერიუმებია:

1. შემოთავაზებული ტექნიკური მიდგომა, განხორციელების ვადები, ადგილობრივი შესაძლებლობების განვითარება, გენდერული და სოციალური ინკლუზიურობა
2. ორგანიზაციული რესურსი: გუნდის გამოცდილება და განხორციელებული აქტივობები
3. შედეგები/ზეგავლენა, განმეორებადობის ან გაფართოების პოტენციალი, მონიტორინგის გეგმა
4. წარმოდგენილი ბიუჯეტი და განმცხადებლის/მესამე მხარის თანამონაწილეობა

## VII. დამატებითი ინფორმაცია

საგრანტო კონკურსთან დაკავშირებით შეკითხვები შეგიძლიათ მოგვწეროთ ელ. ფოსტაზე: grants@scrwm.org.

ასევე, დაინტერესებული პირებისთვის გაიმართება ონლაინ საინფორმაციო შეხვედრები. საინფორმაციო შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულმა პირმა წინასწარ უნდა გაიაროს ონლაინ რეგისტრაცია შემდეგი ბმულის მეშვეობით: https://forms.office.com/e/gQ0dyMf0fV. მხოლოდ დარეგისტრირებული პირები მიიღებენ ინფორმაციას შეხვედრის თარიღისა და დროის შესახებ. სატელეფონო ზარები არ მიიღება.

წინამდებარე წლიური საგრანტო პროგრამის გამოქვეყნება და განაცხადის შევსების პროცესში კონსულტაციის გაწევა არ გულისხმობს პროგრამის მიერ გრანტის გაცემის ვალდებულებას. ასევე, პროგრამა არ არის ვალდებული აანაზღაუროს განმცხადებლის მიერ საგრანტო იდეების მომზადებისთვის გაწეული ხარჯები და იტოვებს უფლებას დაიწუნოს ნებისმიერი ან ყველა მიღებული განაცხადი.

დაფინანსებული პროექტების რაოდენობა დამოკიდებულია სახსრების არსებობასა და მიღებული განაცხადების ხასიათზე. საგრანტო კონკურსში გამარჯვებისა და 25,000 აშშ დოლარზე მეტი დაფინანსების მიღების შემთხვევაში, ორგანიზაცია უნდა დარეგისტრირდეს SAM.GOV-ზე და მიიღოს უნიკალური საიდენტიფიკაციო კოდი (UEI).

იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელს სურს, გაასაჩივროს საგრანტო კონკურსთან დაკავშირებული რომელიმე გადაწყვეტილება, მან უნდა წარმოადგინოს წერილობითი განაცხადი შესაბამისი მტკიცებულებებით. დელოიტი განიხილავს და 15 დღის განმავლობაში გადაწყვეტილებას წერილობით აცნობებს განმცხადებელს. იმ შემთხვევაში, თუ განხილვას მეტი დრო დასჭირდა, ამის შესახებ აუცილებლად მიაწვდის ინფორმაციას განმცხადებელს. დელოიტის გადაწყვეტილება ჩაითვლება საბოლოოდ.